სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

37740178207824

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240543194

რეგისტრაციის თარიღი

07.05.2024 წ

ნოტარიუსი: დავით ოყროშიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის შვიდ მაისს, მე, ნოტარიუს დავით ოყროშიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზ. #22/4, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, **ბ-ნმა დავით რამიშვილმა** (დაბ.25.07.1974წ. საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01002001142, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის IV კვარტალი, კორპუსი 8, ბინა 39), რომელმაც განაცხადა, რომ წარმოადგენს **შპს „კაპიტალ ინვესტ ჯგუფი“-ს (ს/ნ 405222405)** (შემდგომ ტექსტში - **„მარწმუნებელი“**), დირექტორს, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. მარწმუნებელის წარმომადგენელმა მოითხოვა **მინდობილობის** შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მარწმუნებლის ნება, რის შემდგომაც შევადგინე **მინდობილობის** შემდეგი პროექტი:

მინდობილობა

ორი ათას ოცდაოთხი წლის შვიდ მაისს, შპს „კაპიტალ ინვესტ ჯგუფი“-მა (რეგისტრირებული 09/08/2017წ, ს/ნ 405222405, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩა, N 7) (შემდგომში - **“მარწმუნებელი”** და/ან **„კომპანია“**), წარმოდგენილი დირექტორის, ბ-ნი **დავით რამიშვილის** მიერ

ქ-ნ მარიამი ბარბაქაძეს (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომრით: 01019066422) (შემდგომში - „**რწმუნებული**“)

მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: **ქალაქი თბილისი. სოფელი დიდი ლილო, საკადასტრო კოდი: 01.81.08.476.002** მართვასთან (განკარგვის უფლების გარეშე) დაკავშირებით, რწმუნებული უფლებამოსილია, წარმოადგინოს და დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, საჯარო რეესტრში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში, შემოსავლების სამსახურში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, ქონების მართვის საქალაქო სამსახურში და მერიის სხვა შესაბამის სამსახურებში. აწარმოოს ზემოაღნიშნულ მისამართზე (ს/კ 01.81.08.476.002) მშენებლობის ნებართვის მიღებასთან, პროექტის შედგენა/დამტკიცებასთან, ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის, წყლის შეყვანა/მიწოდების, საკანალიზაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებული საქმეები შესაბამის სამსახურებში, წარადგინოს/მოითხოვოს/მიიღოს (როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად) შესაბამისი ცნობები, განცხადებები, დოკუმენტები, მოწმობები, ნებართვები, შეიტანოს ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტებში, წარადგინოს/შეათანხმოს/დაამტკიცოს/შეცვალოს პროექტები და მიიღოს ნებართვები, ხელი მოაწეროს მარწმუნებლის სახელით და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალების შესრულებასთან.

2. **მინდობილობა გაიცემა 6 (ექვსი) თვის ვადით**

სანოტარო აქტის ეგზემპლარების რაოდენობა: **3 (სამი),** რომელთაგან ორი გადაეცემა კომპანიის წარმომადგენელს, ხოლო ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროს არქივში, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან კომპანიის შესახებ და კომპანიის სადამფუძნებლო შეთანხმება.

სამეწარმეო საზოგადოების წესდებას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტანდარტული წესდება.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის: **30.00** ლ. თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - **5.40** ლ. თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, აგრეთვე 5.00 ლ. – სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

წინამდებარე სანოტარო აქტის პროექტი, წავუკითხე მარწმუნებელის წარმომადგენელს, განვუმარტე მას აქტის შინაარსი და მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად გააუქმოს მინდობილობა. ამასთან, მინდობილობის გაუქმება არ იმოქმედებს მინდობილობის გაუქმებამდე რწმუნებულის მიერ დადებული გარიგებების თუ შესრულებული მოქმედებების ნამდვილობაზე. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მისი შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვადასტურებ.

შპს „კაპიტალ ინვესტ ჯგუფი“-ს სახელით

ნოტარიუსი

ნოტარიუსი დავით ოკროშიძე
საქართველო
NOTARY GEORGIA DAVID OKROSHIDZE
PUBLIC